



სიკვდილის ღროვა

„ინგლისის დროსა ცარცვა-გლეჯის და სიკვდილის სიზმლოა“
ინდოვლ კომუნისტ საკლავებას სიტყვიდან.

რაღ ჩემია,—სომ ჩემია,
და ჩემია,—რაღ სხვისია.
ყველა—მონა,—ბატონი კი
„კულტურული“ ინგლისია.

და კულტურის საკითხებსაც
სჭრის ალესილ ფარით სმალით:
ჩაგრულ ერებს „განათლებას“
ის უნფროვას სწირავდ ძალით!

აქეთ სმალი, იქით დროსა,
შედაც ლომი ფაფარაკრით;
თავს წარკვეთენ თუ იარაღს
დღეს იმის წინ თქვენ არ დაყრიო.

ხედავთ თავებს?! წაჭრილ თავებს,
თავებს უკმებს მონებისას?!
აქ საზღვარიც დაედება
ქროლვას ფრთასწრაფ ოცნებისას!

ამბობენ, რომ... (და ნათქვამი
ზოგჯერ კიდევ არა მჯერა);
რომ ინგლისის ისტორია
თურმე სისხლით დაიწერა.

დაიწერა და აღნიშნა:
ერთს სიციცხლე, კუმბი ათასს,—
მავრამ... დღეს მე არა მჯერა
ისტორიამ ერთიც არ თქვას,

— რომ: წურბელა სხვათა სისხლით
უსაზღვროთ და უშნოთ ძღვბა
იმე სისხლის მეოხებით
ვერ ცოცხლობს და იქვე კვდება.

ცოდვა მრავალ ათასების
მილიონთა, ვაი თუ, ცოდვამ
ერთ დროს ბატონ ინგლისსაც კი
სახიკვდილო ცელი შოღვა...

და გვეგრა რომ შემდეგშიც
თუ ასეთი გზებით ივლის,—
წურბლის ბედი არ ასცდება
გაუმამდარ სისხლით ინგლისს.





— ამხანაგო! ხელ ვარბის ეს ხალხი ასე აჩქარებულნი?
— „ტარტარი“-ს მესუფიძე ვეფრდნე; იქ რაღაც ამხანაგო.

წმინდა კოზემია არა წმინდა უნაარსით

ჩვენ მაგიდებს ვუსხედით,
გაბოლენდით პაპიროსს,
როცა ერთი წამოდგა
და სიტყვის თქმას აპირობს.

უდარდელად ხამწვავი
გადისროლა კუთხეში.
რადგან მისთვის ადგილი
არ იყო საფურთხეში.

კადელზე „შში“-ს წარწერა:
„წმინდობი, სისუფთავე“..
ბოლო, როგორც ბურანი,
ფხვევოდა რუსთაველს...
მოდგომოდა თვალღებზე
სურათს ცრემლი სიმწრისა;
ჭვევით ზის იატაკი
ვამხდარიყო მიწისა.

უკვდ ორისნახევარს
ურევენება საათი.
მოგაწყინდა მუშაობა,
გულს სურდა მასლაათი.
შეწყდა ჩოქზე კაცური,
გაჯიუტდა ბალანსი.
იმის ნაცვლად თამბაქო
და ზედ ტკბილი შაასი.

ფიქრები და იცნება.
ლურჯი კეამლის გორები.
საყვეთი წუთელის
კმათლების გორება...
ქუჩა სავეს ხმაურით,
ძიყვები და მოყვები...

ქალი წითელ ტუჩებით
და ყვითელი ლოყებით...

აი, ასე ვისხედით,
გაბოლენდით პაპიროსს,
როცა ერთი წამოდგა
და სიტყვის თქმას აპირებდა.
უდარდელად ხამწვავი
გადისროლა კუთხეში.
რადგან მისთვის ადგილი
არ იყო საფურთხეში...

ჩახავლა, ნაფურთხი
დაატყება იატაკს.
სიჭევა: სისოფელ გვალვაში
ძაღვს მისკვამს ნიდავს
თუმცა მარტო სისოფელზე
ფიხს აუღდას ციებას!..
და დგება ის ნაფურთხზე,
არ აცლის გაცივებას.

და მოყვება ძველ აშვებს
გრძნობით და გაგრძობით,
შინ როგორ ტკბილ დღეებს
ტარებდნენ ძელოები.
რას ნიშნავდა მუნდირი,
გოლოზე ოქროს მიღალი,
და დროზე მირთმეოლი
უფროსისთვის დედალი.

კიოვე დიდხანს იქნება
ფიქრით ის შორს წასოლი,
ბოლოს ოპირით მოყვება
ამბავს ახლო წარსულის,
ამბავს როგორ ელოდა

კომპენსაციას,
და თუ როგორ უჩვენეს
თითთა კომპინაცია.


და იქნება წუწუნი,
გული სერიით დაგული,
ბოლში ვაფრიალოება
პენსია დაკარგული...
და ილიი ბეგრ რამეზე
იქნება ეს შაასი.
შემოვე ისევ ის წიგნი
და ისევ ის შა... შაი.

უძირო მწუხარებით
იციება თვალითი.
დაიხრება ფურცლებზე
ნისვის მზვანი თავები.
ფიქრებს ვაიყოლებენ
ლორჯი კეამლის რაგოლები,
და შირს გაიყრებიან
ტკბილ იცნების გორები...


სინტო.



წყლის ღვინის-ფული



სახლკომი: თუ არ გინდათ თქვანი დავეტო, წყლის ფული ხაჩქაროდ ჩამოღით.



მღვურები: ვაჰსი ხედავ: ჩვენს სახლკომს რამდენი კვარტი უდგას? კარგია შე ნუ მომიცვლ: წყლის ფულით ღვინის სმა.

„უქსი“ და „სტიმული“

„ბინებზე ქირის მომატება ასწევს სახლის პატრონების სტიმულს და ბინები შევეთლება“.

ამხ. ბაბუნაშვილის მოხსენებიდან.
„სახლის მესპატრონეები ცდილობენ მუშები სარდაფებიდან ამოგვეყვანა. სახლში არც წინედ იყო ხეირი და არც ეხალა. თუ ქირით დაგვიანტრესებთ, — სახლებს აფაშენებთ“.

მოქ. ცქიშანაურის ხიტყვიდან, რომელიც წარმოხატვა საბჭოს სხდომაზე.

თბილისის საბჭოს პლენუმი 1921 წლის 8 თმ-ბერვალს

ამხ. ბაბუნაშვილის მოხსენება.

აზნაგებო! სწორედ ხუთი წლის წინეთ საბჭომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომელმაც ბინის კრიზის ბოლო მოუღო.

წინედ საბჭოს სხდომები წითელ თეატრში იმართებოდა; დღეს კი, როგორც ხედავთ, თბილისი იმდენად გაიზარდა, რომ ცენტრი ოქროყანაში მოექცა. თქვენ კარგად მოგხსენებთ და ყველას კარგად გემახსოვრებათ, რომ 1926 წელს თბილისში იყო ერთი, ორი. სამი და ოთხ-სართულიანი სახლები, დღეს კი ამავე თბილისს ხუთ-მეტსართულიანი სახლები ამოშენებენ.

რა არის მიზეზი ასეთი წინხვლის?

პასუხი ასეთია: ქ. თბილისის უქსი და სახლის პატრონების სტიმული.

როდესაც ჩვენ წამოვეყენეთ საკითხი ბინის ქირის 40—45 პროცენტით გადიდების შესახებ, ზოგიერთი ააბკოს წვერი ასეთ აზრებს გამოსთქვიმდა:

არ გვაქვს ვარანტია, რომ სახლის პატრონები სახლის შემოსავალს ბინების შეკეთებას მოახმარებენ.

შეიძლება კარგ სახლში, რომელსაც შეკეთება არც კი სჭირდება, ფულიანი ხალხი მოხვედეს და მერტი შემოსავალი დაურჩეს; ხოლო დანგრავის პირზე მისულ სახლში ღარიბმა ხალხმა ამოჰყოთ თავი და ამ სახლის შემოსავალმა მიმდინარე ხარჯებიც ვერ დაჰფაროს.

ერთი სიტყვით: მოითხოვდნ აპარატის შექმნას, რომელიც ჩამორთმეულ სახლებს ხელმძღვანელობას გაუ-

წედა. რასაკვირველია, საბჭოს არავითარი ყურადღება არ მიუქცევი ასეთი უკუღმართი აზრებისათვის და უცვლელად მიიღო ჩვენ წარმოდგენილი პროექტი.

ცხოვრებამ გაამართლა ჩვენი აზრები. 40—40 პროცენტრმა იმდენად ასწია სახლის პატრონების სტიმული, რომ ბინების შეკეთებასთან ერთად, შეუდგნ ახალი სახლების ამშენებას. წარმოიდგინეთ, ამხანაგებოთის გარემოებაც, რომ სახლის პატრონი, რომელსაც მერტი შემოსავალი ჰქონდა, თავისი სურვილით და დიდი ხალისით ახლომებდა თავის შემოსავალს სხვისი სახლების შეკეთებას.

პროექტის გამოქვეყნების მეორე დღიდან „უქს“-ში აუარებელი განცხადება შემოვიდა ამკვარი შინაარსის:

„შე ვარ სხევი, მივირავს 200 კვად. არშინი, (შეტი, ვიდრე მეკუთხვის) შემოახსლეთ ჩემს ბინაში თუ ვინე უბინაო მოგვამებათ“.


„შე ვარ ვაქარი, მივირავს 400 კვადრატზე შეტი, მიორთვით, მოხმარეთ როგორც გნებავთ“ და სხვა.

ერთი სიტყვით: ჩვენმა პოლიტიკამ გაიზარჯვა. მოისპო ე. წ. „ოტსტუპნი“ და უსაქმო „მაკლერებმა“ აღშენებელთა კავშირს მიაშურეს.

დასასრულ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც. ჩვენ სახლის პატრონებს არასოცილისტებათ ენათლავთ. დღეს კი სინამდვილეა, რომ: სახლის პატრონები მოწადინებული ყოფილან მუშები გამოიყვანონ საშინელ მდგომარეობიდან. დღეს ეჭვი აღარავის შედის სახლის პატრონების სოცილისტობაში.

(ნესტარ ცერცვაძე ადგილიდან: „ნეტარ არიან შორ-წმუნენი“).

სიმონიკა.



ჯვაროსნთა ომი

იყო და არა იყო რა...
 იყო წმინდანი მამაო...
 უყვარდა ტაბლა, ქელები
 და ზურგიელის ქამაო.
 სახელად ერქვა ხარიტონ,
 დროს არ კარგავდა ამაოდ;
 ქონით აივსო გვერდები
 მუცელი ვისამაო.
 რვეოლიუციამ მოუხსრო
 მამა მღვდელს საყდრის კარზედა...
 კომუნისტების დაღუპვა
 ქრისტეს შესთხოვა ჯვარზედა.
 ხატის წინ დაიხოქებდა
 „კომსომოლებს“ ჯავრზედა
 და ლოცულობდა დღე-და-ღამ
 ცხარე ცრემლებით თვალზედა.
 „ღმერთო, მისხენი, ნაჩვევი
 არ შემომოკლო ტაბლაო,—
 რომ ცარიელი არ დამჩჩეს
 კუჭი ხაღვინე, საფლაო.
 მე შენთვის აგიტაცია
 გავწევ ამ ქვეყნად დაბლაო,
 შენ კი მოაწყვე, რომ დღეში
 რვა მკვდარი დავასაფლაო.
 მეგრამ ცხოვრებამ სხვა გვირად
 შეატრიალა ჩაოხია;
 დედლის ვედრებამაც ვერ გასკრა,
 თუმც თავი ბევრჯელ აიხია.



არც შენ და არც მე

ჩოხატაჟური

ამ ჩვენს კურორტულს დაბაში
 ბოლო არ უჩანს წინსვლასა:
 ბაზარი სივრცეს მატულობს,
 მისდგენ ქუჩების კირწყლასა,
 „ბოლნიცამ“ საქმიანობა
 შესცვალა სხვა რიგ—წესითა.
 უსაზღვრო არის ექიმის
 ღვაწლი „უყანწო“ ფერწლითა,
 ჩახვალ ეზოში, რას ჩახვალ;
 რა რიგი ყვაილებია!
 მკვდარს გააცოცლებს ფუტკრების
 მუსიკალური ხმებია!!
 ამბობენ: გამორკვევისთვის
 არ უნდა გულომისანობა;
 ყველა ეს საქმე საამო
 ექიმის არის წყალობა!..
 აფთიაქს აღარ აკლია
 ფუთობით ქინა-ქინია;
 ციებით აღარ კანკალებს
 არც გულქან, აღარც თინია.
 „ქის წყალს“ წაუხდა მანანდა,
 აღარ საღდება წვეთია;
 (დღემდე, რომ ჩაფით ზიდავდით,—
 გვეუბნებოდენ: „ზეთია“)
 ასე მოეწყო ეს დაბა,
 ქალაქის თანასწორია.
 (აღბათ იმიტომ, რომ ამქამად
 ახალი პროვიზორია!)
 თეატრს ხომ ვერსად იპოვით,
 როგორიც ჩვენ გვაქვს დაბაში...
 ძვირფასი დეკორაცია
 და ჩინებული თამაში!..

გაქედლია დარბაზი
 აუარებელ ხალხითა
 და თანაც გაოცებული
 „ფხიზელ“ „არტისტის“ ნახვითა!
 ანათებს ელექტრონები
 წინად რომ იყო ბეჟუტავი;
 (უცხონდა მამა ერასტოს
 მან სახელი ქნა უკვდავი).
 მოსახლეობას თითველს
 ორ-ორი „ლაშა“ უნთია
 თვეში აბაზათ... რას ერჩი,
 სწორს, თუ კი ვიტყვით,—მუქეთია...
 გაპკივის ხერხის მანქანა
 დღე და დამ ისმის შრიალი;
 ძვირფასი სანახავია
 ხუთასი მუშის ტრიალი!..
 უამრავ ძელებს დახვრხავს
 თუ „ქორთუხი“ აქვს საყოფი;
 (აქაც ერასტოს მადლია
 და მისი ჭკუის ნაყოფი)
 ოზურგეთიდან აქამდე
 აქედან საჯავახოში.
 გამომენიერა გზა უკვე;
 აღარ ვიზრჩევით „ლაფოში“.
 დარბიან ავტომობილი
 მუსიკით ზევით ქვევითა;
 მხარეში არ სტკივთ მგზავრებსა
 ტალახში ეტლის თრევითა...
 სიოცსლე დუღეს და გადმოადის
 ჩვენი მხრის აღმასკომებსა;
 განკარგულება ზედი-ზედ
 გაკარული არის თემებში:
 „აპო რაჩეთ, შრომის შეიღებო,
 მცირე იყო თუ დიდებო,

გამოდო, ყველა ვაკეთოთ
 გზები და წყლებზე ხილები!“
 აშენდა მისი ოჯახი
 (გლუხკომის თავმჯდომარისა)
 მან ხალხი გაქირავებისგან
 იხსნა და... წაახალისა...
 გამოუწერა ოჯახებს
 ყოველნაირი მანქანა;
 უამრავ ბიჭონს ამახადებს,
 გახსნა კრამიტის ქარხანა!
 წარმოვიდან მოგების
 რაც კი რამ რჩება თანხები,
 ვინ მოსთელის რამდენ ქერიე-ოხრებს
 გამოუჭიმა სახლები.
 გრიგორას სისადილოში
 მომსარა ძველი წესია:
 ახლა ფასებიც ნაკლები,
 საქმელიც უკეთესია.
 გამქრალა ძველი „პრინციპი“
 რომ ჩურჩულობდენ ქორადა:
 არ იყრება დათვარაში
 ნისია ერთი ორადა!
 ფუ, წვეულ იყის ეს ძილი...
 ყველა ეს წილაღობილა,—
 (გამოვიღვიძე, ვნახე, რომ)
 თურმე სიზმარი ყოფილა!!!
 ჩოხატაური ვით ძველად
 იგი ისევე ისე...
 ბილოში ჯინქარაძე... და
 თავში კი მელიქისეა!..
 შვაში ბოგინობს ვაპრები
 სახითა დაღვრემილები
 და საწყლებს მუშტრის ლოდინში
 დაუტყრეთ კბილები. წაველა.



მკვდრების გაყოფა


გულში ამბობდა: რა ხდება ჩემზე სუყველა ახია; ახა ვინ ცნობდა ამდენ ხანს რაც მკვდარი დაგიმარხხია? ერთ დღეს ხარიტონს მეუღლე ვი-ვიგვავხით, დავითა და აღმასივით მაკრატლით შემოსჯდომოდა თავითა. წვერი ცვიოდა ბალიშზე გიშრის ფერითა შავითა... გაკრიჭა, წმინდა ხარიტონ „სხვა ქვეყანაში“ გავიდა. ხანი გავიდა... აქა-იქ გაიხსნა საყდრის კარია. ჯერ ჩვენს წმინდანსა არას დროს ასე არ გაუხარია. წვერი არა აქვს, რომ კიდევ ჩამოიკიდოს ჯგვარია. ბოლმა ჰკლავს... სხვა დღელებს უყუ-რებს:

ისევ მადანე არიან... ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ, რაც უნდა მიწა ვაბრუნოთ ბარითა. იზარდე, ნორჩო ჯეჯილო, ყველა შენ შემოგხარითო. საყდარი, საცა ხარიტონს ღმერთისთვის უნდა ელოცა ბერს ვისმეს, წმინდა მოსაესვა თავისთვის გადაელოცა. აქ იმარხოდა სუყველა დიდი კაცი უსახელოცა; როცა ხარიტონ მივიდა ამავეი ესე ეოცა. ბერო, ვინა ხარ? ეს მიწა სულ ჩემი საკუთარია.

საყდარი მე ავაშენე და მე შეეგები კარია. აქ ვინც მარხია ახალი და ძველი ჩემი მკვდარია; წადი მოშორდი, სანამდე ძალა არ მომიხმარია. ბერმა იფიქრა: არ მომცემს აქ მე ხელს გაიჯგრობა სჯობია ჰკუა ვიხმარო და ენით ტკბილი ფერობა. ეგ კიდევ ჯეილი არის, მუშტია მაგის ხელობა... ერთს მომცებებს, მეგრ შშვილობით, რილას მიშველის ბერობა. უთხრა; მძობილო, რას ვჩხუბობთ, შუა გავიყოთ მკვდრებო. შენ უფრო აქაურო ხარ და ხომ არ მოსტყუვდებო. რაც შენ საფლავზე მოვიდეს ტაბლა და ნახუქებიო, — ის შენი იყოს და შენთვის დღეისაგან ნახუქებიო. ასე შეთანხმდნენ... და შემდეგ რომ თავის დანაბირები არ არეოდათ, — დათაღეს გრძელი და მოკლე ჩხირები... გრძელი ჩხირები ბერს ერგო ხარიტონს დაბალ ძირებიო... ყველა საფლავზე დაურგვეს შიგნით და განაბირებით. ბერმა უყურა საფლავებს: ტაბლები არ აკლდებოდა, — მაგრამ არც ერთი მათგანი იმის კი არა ხედებოდა... ფიქრობდა; რა ამბავია...

ჯაგერისგან გულზე სკდებოდა... ხან მკვდარს ლანძღავდა, ხან ცოცხალს, ტაბლა რომ გამორჩენოდა. ბოლოს გაიგო ოინი თავის შეზობელ დედელისა: თურმე რაც მკვდრები ყოფილან ათის და მეტის წელოსა, ვინც უპატრონო ყოფილა და სულ სხეი უტხო ერისა, — ხარიტონს აქ დაუსვია გრძილი ჩხირები ბერისა. გაჯავრდა... ბოღმით აიგსო, მაგრამ ნალგელი დღეარა... ერთხელ, როს ღამემ ჰიჯყანას სუღარა გაოთაფარა. — ბერმა ხარიტონს ჩხირები საფლავებიდან დაპარა და იმით ნაცვლად თავისი უფრო გრძელოები ჩაყარა... ხარიტონ ასტყედა სომარად და გასაღვენად ბერისა... ბერს რომ საკუთონი მიჰქონდა ქათმის, ნახუქის, კვერისა, — მიუხტა, მუშტი შემოსცხო, რილი არ ჰქონდა ერისა... ნიავს მიჰქონდა აქა-იქ ნაღლევი ბერის წვერისა.

ნახუტი



„ღია... ქალ...ისი“

საავიამყოფოს დიასახლისს, რომ არ დაუმტკიცდეს თვისი ძალი, ჰკვებავს ავამყოფების კუთვნილი კერძით შეთვალული.



ფ. შ.

ამაღმამოში. (მსახურს) რა არის, რომ მუდამ უხორციო სუბია?
 მსახურსი. ეს იმიტომ, რომ ხორ-ცის ნაჭერს ჩენი დიასახლისი თავის ფინიას აძლევს.
 დიასახლისი. (შარფულს) ხორ-ცის ნაჭერი ამოიღე სუბიდან... ახლა-მყოფებს აწყენს, ხოლო ჩემს ფინიას კი გაახუჭებს.


სანიშნუი გავგა

— ოი, რა სიცივეა?! ტყვილა შეიდიარ სკოლაში,—
 ეშაქი ვერ გაუძლებს ამ სიცივეს... მინები რომც იყოს
 ფანჯრებში,—შეშა არ არის; შეშა რომც იყოს,—ბუხარი
 არ არის, დანჯრეულია, ვაკეფება უნდა... უხბ! წაწყდეს
 ჩემი ცოდვით აი ზამთარი—
 ასე ფიქრობდა სკოლაში მიმავალი, ნატანების 4
 წლედის შრომის სკოლის ვამეე.
 ქარიშხალი კი ნატანების 4 წლედის შრომის სკოლა-
 ში ჩამტერულ ფანჯრებიდან არხეინად შედიოდა და უფ-
 რი აღსენიად ვამოდიოდა.
 ვამეე შევიდა სკოლაში, გაიბერტყა „კვაპალათის
 ტრესში“ ნაყილი პალტო და შეუღდა მეცადინეობას.
 — ქეთო, გამოდი და ვაკეფილი მითხარი.
 — ვერ ვერტყვი, მასწავლებელი.
 — რატომ?!
 — იმიტომ, რომ: სიცივეთ სულ ვკანკალებ.
 — დაჯექი... აბა, შენ მითხარი, ალიოშა.
 — ვერ ვერტყვი, მასწავლებელი.
 — რატომ?!
 — იმიტომ, რომ: სიცივეთ ვეგაგაგებ.
 — შენ სტყვი აბა, სათელი.
 — მე სიცივე კბილებს მარაყუნებიებს, მასწავლებე-
 ლო.
 — აბა შენ, ვახტანგ.
 — მე... მე... მე, მასწავლებელი, სიცივე კბილებს მა-
 რაყუნებიებს.
 — აბა შენ, ლეილა.
 — მე, ბატონო მასწავლებელი... სიცივეთ ისე ვარ
 მოზღუნკელი, რომ... რომ ავერ ვაწყყდები წელში.

— აბა შენ, მამია.
 — მე მასწავლებელი, ფეხებში ისე მაქვს წამდგარი,
 რომ... ისე რომ საღესს ქვასავით მაქვს ფეხები; რომ წამ-
 პრა,—ვერ ვაკეფებ.
 — დაჯექი... აბა: ვისაც სიცივე არ აბლანკალებს, არ
 აკანკალებს და, საერთოდ, არ სცივა ხელი ასწით...
 — ?! ?! ?! ?!
 — ასწით ხო!.. რას უყურებთ?!
 — ჩენ, მასწავლებელი, ყველას გკვივა...
 — მამ წადით სახლში და ორკა ვამოიბუქს, მაშინ მო-
 დით სკოლაში.
 შექმნილ მდგომარეობის გამო, პოჭვეულ ექნა ბედა-
 გოფორსო საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა, რომელზედაც
 მიიღეს შემოღობი დადგინილება:
 მართალია: სკოლის ფანჯრებში უნდა იყოს მინები,
 სკოლაში უნდა იყოს ბუხარი, ბუხარში უნდა ინთებოდეს
 ცეცხლი, რომელიც უნდა ათბობდეს სამაცალინა ღარ-
 ბაშს და მოჭაფებებს, მაგრამ რადგან ყველა ამისათვის სა-
 პირია: თეშალმასკომის შეწყუხება, მოზობილია წრის შეკ-
 რება, განათლების ინსპექციის შეწყუხება და აგრეთვე
 სკოლის გამგის შეწყუხება,—ამიტომ ამდენი ხალხის შეწყუ-
 ხებას სჯობია შევსწყვიტოთ მეცადინეობა მანამდე, სანამ
 თბილი დარები დაგვტოვებდეს.
 დადგინილება ვატარებელია ცხორებაში. მოს-
 ლონდელია: მეცადინეობის განახლება, რადგან უკვე საკ-
 მადოლ თბილა.

ტოქსინი.

გ ზ ი ს-კ ო მ ე ი



ს ა ზ ი ხ ნ ი ა მ ო თ ა ი ს ი

სავზო კომისია
მეტისმეტად ზრუნავს;
მისი თავმოადობარე
წარა-მარა ზრუნავს.
ეს რა იოსოთ, მერე,
ან რა საწყინია,—
თუ კისოსი ფაფარამდე
ჩალოლოა იხენია.
ტალახითან ცხენის
კუდით ამოღება
წაყინა ჯი არა,—
არამეთ წაღება.
თუ ურემაც ასე
იილო ყირამალა,—
აი კომისიის
უნარი (და ძალია.
აბა ეს კოწია
მიტი რა შვილია!?
თავმჯდომარე აისი,

ქარხალაშვილია.
და თუ ამ საქმეზე
არის ის მეტროლოი...

ასე რასეირნობს
ის და მისი ცოლი.
სირცხვილი ქეთაისს,
რომ არა აჩის „კონკა“;
ხელით როგორ ზიდონ
„ტროსტი“ და „კარდონკა“.
სხვა წვერებიც იყვენ
ასე ირთოლოები.
გზა გააფართოიებს
ასკრეს დარგულები.
მალე განდგინ თვისთვის
კოწიას იინაზე;
მოიფთხნეს ფეხები
ლაშაზად ბინაზე.
საქმე რაწაიბოლი
არინ (დაათავა.

ვის ხელა დასრულებს
ირის მაზე დაეა.

აქვე საფიხიის
ეკლესიის ხატებს,
მიწა რომ მოუჭრეს
და გზა მიუმარის.
„სორე“ დაუნგრის
და გზაც გაუფუქეს,
ამის შემზიდვარე
თავში იცემს მუქებს.
ხატებს იიდრება
ბევრი მგზავრი შველას,
რომ ეს აჯოჯოხეთი
ააშროს ყარლას.

შეგრამ იყურება
განა სადმე ეს ვის?!
ამ ხატობსაც ხომ კი
ბრავური ესმის!

კოლოკი.

ა მ წ ლ ი ს გ ო ლ ო შ ი ... ა მ თ ი ს გ ო ლ ო შ ი ... ა მ ღ ლ ა ე ზ ი ...

1924 წ. ცნობილი კინორეჟისორი რეპესტიანი შეუდგა ახალ სურათის „რახატლუკუმი“ გადაღებას, რომელიც გაგრძელდება იქნება ცნობილ „ქიშიშიშლაბლახისა“. სურათი დამთავრებულ იქნება ამ წლის ბოლოში.

1925 წ. მარტი. აუთოი „რახატლუკუმი“ უკანასკნელ სცენების გადასაღებად რეჟისორი რეპესტიანი მთელი შემადგენლობით გაემგზავრა ტაბანმელაში. საპავილიონო სცენები გადაღებულ იქნება თბილისში. სურათი ნაწილებში იქნება ამ თვის ბოლოში.

1925 წ. ივნისი. გუშინ, ნათელულში სურათ „რახატლუკუმი“ ერთ-ერთ სცენის გადაღების დროს ერთ კინო-მსახიობს გაუჩნდა ხანძარი. მსახიობი არ დაიბნა და დაიძახა: ბიჭი არ იქნები, თუ ჩემი სიკვდილით თბილისი არ ვასიათოვრო, და განაგრძობდა თავგანწირულ თამაშს. რეჟისორი არ დაზიენებულა. მიუხედავად იმისა, სურათი ამ თვის შუა რიცხვებში მაინც მზად იქნება.

1925 წ. სექტემბერი. რეჟისორი რეპესტიანი, რომელიც გამგზავრებული იყო ბაქოში სურათ „რახატლუკუმი“ ზოგიერთ სცენების აღდგენაზე გადასაღებად უკვე დაბრუნდა. სურათი გაგრძელდება იქნება ცნობილ „ქიშიშიშლაბლახისა“. ამ დღეებში რეჟისორი შეადგება სურათის მონტაჟს და ერთ კვირის შემდეგ ნაწილებში იქნება

თბილისის საუკეთესო კინოებში. (სურათიც და მონტაჟიც ერთად).


1925 წ. დეკემბერი. უკანასკნელ ცნობების თანახმად სურათი „რახატლუკუმი“ თითქმის დამთავრებულია. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სურათს თურმე დიდი მომავალი ექნება, ვაიცილებით უფრო დიდი, ვიდრე მის ჩვენებში.

1926 წ. თებერვალი. გუშინ რეჟისორ რეპესტიანის და ოპერატორ ბუზბუზაევის შიგრ გადაღებულ იქნა „რახატლუკუმი“ უკანასკნელი სცენები. ხელ დღის 9 ს. და 47 წ. რეჟ. რეპესტიანი შეუდგება მონტაჟს. სურათი ნაწილებში იქნება ამ დღეებში.

1926 წ. მარტის 25. სურათი „რახატლუკუმი“, რომელიც გაგრძელდება იქნება ცნობილ „ქიშიშიშლაბლახისა“, თითქმის დასრულებულია. გადაღებელი დარჩა მხოლოდ ზოგიერთი საპავილიონო სცენები. სურათს სდგამს რეჟისორი რეპესტიანი. ოპერატორი ბუზბუზაევი. მონტაჟის შემდეგ სურათი უთუოდ ნაჩიონში იქნება...

საუბედროდ, მებო დაკვირვების მოხდენა ვერ შეეძლებოდა, რადგან ვერ მარტი არც კი ვახსულა. თუმცა არც არის საჭირო. მხურვალეს შეუძლიანი მოყვანილი ცნობები ხელმოკრედ გაიმორჩინ თავიდან, მხოლოდ, რათქმა უნდა, თარიღებს შეზღუდისად შევადგინო.

ს-ლ.



— გამარჯობა, ლევერსი.
 — ღმერთმა გაგიმარჯოს; ვინა ხარ, კაცო? ჩამოდი ეზოში.

და ლევერსი ჭიშკრისაკენ წავიდა. ახლად დაღამებული იყო და ლევერსიმ ვერ იცნო მეზობელი, რომელიც ჭიშკარს მოსდგომოდა...

— ვინა ხარ, კაცო?—კიდევ შეეკითხა ლევერსი, როცა ჭიშკარს მიუახლოვდა და ვიღაც ატუზული დაინახა.

— მე ვარ; დიანოსე...

— ოი, შენ დაგლახვრა ეშმაკმა... მერე-და ვერ ჩამოხეღა ეზოში?

— არა, გამდლობთ... ლევერსი ხელო ხარებით უნდა მომეხმარო, ნადი მყავს, ოდა ვიყიდე და უნდა ხელო მოვიტანო.

— მერე-და ხარები რად გინდა! ოდა უნდა დაშალო და ისე მოიტანო თუ?..


— აბა, როგორ იქნება!

— სულელი ხარ; განა არ სჯობია აიღო აშენებული და ისე გადმოიტანო?

მე ვიცი შენი ნაყიდი სახლი, იგი არც ისე დიდია, რომ მისი გადმოტანა დაუშლელია შეუძლებელი იყოს... დაუძახე ერთ ათ ჩემსავით ვარჯებულ ბიჭს და იმ სახლს წოწიალით ვადმოგიტან დაუშლელიად ეზოში.

— შენი ოჯახი ააშენა, ღმერთმა; თუ კი სახლს დაუშლელიად გამოიბრანთ, მაგას რაღა სჯობია?

და მართლაც მეორე დღეს ათიოდე კაცი ლევერსის ხელმძღვანელობით („კომანდრობით“) შესდგომოდნენ სახლს და ბერკეტებით მის აღებას ღამობდნენ.



ლევერსის ხელმძღვანელობით შესდგომოდნენ სახლს და ბერკეტებით მის აღებას ღამობდნენ.

ლევერსი მოშორებით იდგა და განკარგულებას აძლევდა:

- ასწით...
- დასწით.
- აბა აქეთ...
- აბა იქით.
- ზევით...
- ქვევით.

და ამ დროს სახლი „დახვავდა“, დაინგრა...

ლევერსი საჩქაროდ განზე გაუხტა, შემდეგ მიიხედ-მიიხედა და როცა ყველა უნებლად დაინახა ვარდა სახლისა, პირაჯვარი დაიწერა და ღმერთს მადლობა შესწირა:

— მადლობა ღმერთს, რომ არავინ მომკვდარა.

— კაცო, რა მიქენი ის?! დავიღუპე კაცი? ჰყვიროდა სახლის პატრონი და თავში ხელებს იცემდა.

მომღარალი მუშათა უხედავი

— თუ გვაქვს წარმოდგენილი კიტრი, თევზი, მწვანელი, ზედაც კარგი კიტრები მათ გულისთვის მოვკვებები...

რა კარგ ხასიათზე ხარ, ჩემო ალმასხან; კარგი ხანია რაც შენი სიმღერა არ გამიგონია; ალბად კარგი ადგილი გიშოვია, რომ ასე უღარდელად მღერო.

— შენც არ მომიკვდე, მეღვინე ჩემო; კარგი ადგილი რომ სადღე გამოჩინდეს,—მე ვინ მომაშვებს; ისე თი ბიჭები მეგულება, რომ დაკალიერებულ ადვილს სუნით გაიგებენ და ერთი თვით ადრე ამოიღებენ მიზანში. ბიჭი ხარ და მოასწარი. მივა, მიიტანს ათი პროტექციის, ოცი რეკომენდაციის და ოცდახუთ ნათლიმამომის ქაღალდ. ბტრედება, აკრემდდება; აყვირდება; აწუწუნდება; გახვებს ფეხსაცმელს და თითს გამოაჩენს, მიიტანს ქვეშავებულს, სკამ-ლოჯინს და ჩაჯდება. ბიჭი ხარ და ნუ მისცემ საშაშურს.

გადის ხანი და იცვლება სურათი:

გაიბერება და ნაირ-ნაირ კოსტუმებით მოიკაშვება; ხან „ელდორადო“-ში შევა, ხან „ნოე“-ში, ხან პიტნაყვას ესტუმრება. ღამეობით კაფე-კარტის სათამაშოებში გაბატონებს და დიღამ თველებ დაღრეცილი მივა სამსახურში.

ბოლოს და ბოლოს გაიგებენ, რომ ეს არის სრულიად ჩვეულებრივი, ყოველ დღისური, ადგილობრივი ჯიშის

„რასტრაჩიკა“ (ანუ გამფლანგელო) და მიაბრძანებენ იქ, სადაც „მართლან“ გაისვენებენ.

მიუხედავად ამისა, მე მაინც ფარ-ხმალს არ ვიყრი, რადგანაც იმედი არ მაქვს დაკარგული. ერთი ისეთი საქმე გავიჩინე; რომ თუ ბედმა გამილიმა და შიგ მოეხბო, მერე ისე ვავსუქლები, როგორც სპეც-ოკლადისტები.

— კი მარა, რა ადვილია ისეთი, შე კაცო?

— რა ადვილია, და ოპერაში ჩემო ძმაო. ოპერაში მომღერლად უნდა შევიდე.

— კი მაგრამ, მომღერლად ვახდომას ხმა უნდა, ხმით კი, როგორც გამიგია, შენ არ უნდა იყვე მაინც-დამაინც დაჯილდოვებული.

— განთქმულობაზე არ არის საქმე; საკმარისია მხოლოდ გამოაცხადო, რომ შენ მომღერალი, ან პაეტი ხარ, ან არტისტი, ან გლაგელსი. უნდა გქონდეს რაც შეიძლება მეტი ურცხვობა და ეგზამენს ყველგან დაიქუე. მაგალითად, ჩვენში ბევრია ისეთი პაეტი, რომელიც მხოლოდ ყვირის, რომ პოეტი ვარო,—და საზოგადოებას მართლაც პოეტი ჰგონია. მეც ასე ვიზამ: ავღვები და რაც ძალი და ღონე მაქვს ვიყვირებ: მომღერალი ვარ თქვა; ბიჭია და ნუ დაიჯერებენ, ცხვი-პირს ჩავამტკიცებ ბარე ორს.

— კი მაგრამ, რომელი პარტია უნდა შეასრულო იხი როლი გვაქვს მიზანში ამოღებული?

— რა გიქენი! ამდენი ხალხი გადავარჩინე დალუპვას და შენ სახლს სტირი!

— უწინ ლევარსი ორ ქვევა ყანას ისე გათოხნადა ერთს ღლეს, რომ ერთხელაც არ დაისვენებდა. მაგრამ ეხლა, ჩვენი ქვეყნის „გაბოლოშენიკების“ შემდეგ, გული ისე აუტრუღელდა ყანის მუშაობაზე, რომ თითოეულ ნაპირის გატანაზე ჩამოჯდებოდა და დაიწყებდა თავისთვის ფიქრს:

— არა, ერთი ვინმემ ის მითხარით: ეს თოხის პირი, ეს თოხი ისე პატარა არის... სათოხავი ყანა კი ამოდენადა, თვალწინდელი... საწყალი გლეხი... როდის უნდა შემოიაროს ამ თოხის პირმა ეს ვეებერთელა მიწა... მე-რე-და რამდენჯერ?! საწყალი გლეხი... საწყალი ჩემი თავი. ბუქნი ყანა და იყავი... მოკვდები და ძალი გიყვებს ვი. სმარეში... ტფუ! ამისანა სიცოცხლეს... ქვეყანა კი ასეთ ვასაქირშია... არა... ლევარსი არ დაპყრის ფარსმალს მტრის წინაშე... ამიერიდან მე აღარ ვარ ყანის მუშა... ესტოვებ თოხს და მივდივარ.

და ლევარსიმ თოხი მაღლა ააღო... სახლში როცა ასე აღრე დაბრუნდა ყანიდან ლევარსი, ელუკის ძალიან გაუტყვირდა, მაგრამ არაფერი უთხრა.

— ალბად ეკვიანობს ჩემზე და ამიტომ მოვიდა...

მეორე ღლეს, როცა ელუკის გამოეღვიძა, ლევარსი ლოგინში აიარ იყო.

მთელი სოფელი შეინძრა, სად არ ეძებეს, ვის არ ჰკითხეს, მაგრამ ლევარსი არადა იყო.

მაღვ გაზეთებში ასეთი განცხადება იყო მოთავსებული:


დავკარგე ძმარი მაღალი ტანის, ზოგბა, ოღნავ გუგუზში მოხრილი, გაუპარსავი გრძელი ფეხებით, სახელად ძმია ლევარსი გვარი როზაროზაძე. თუ ვინმემ ჩამე იცის მის შესახებ, გთხოვთ მაცნობოთ.

ამ განცხადების მეორე ღლეს იმავე გაზეთებში ასეთი განცხადება იყო მოთავსებული:

ღამიკარგე. წაუპოვი იმეკავთ. გარკვეულ მსთომვ წა შეფუხვება.

ლევარსი როზაროზაძე.

ამ ორ განცხადების შემდეგ, ტარტაროზსაც სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მანაც განა-



ეს თოხი ასე პატარაა—სათოხავი ყანა კი ამოდენა.

ცხადა:

დაიკარგა უგზო-უკვლოდ ლევარსი როზაროზაძე

ტარტაროზმა სავანებო აგენტები დანიშნა ამ საოცარ ამბის შესახებ ცნობების შესაკრებად. როგორც შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, ლევარსი დაკარგვის წინა ხანებში დიდ აღულებულ მდგომარეობაში ყოფილა.

გულაგდებული მუშაობდა ყანაში, უიმედოდ უცქერდა სოფელს და მთელ ცხოვრებას, კიბულადა სერგანტის „დონ-კიხოსს“, (რომელიც მაზე ძლიერ მოქმედობდა) და სულ პოლიტიკაზედ ფიქრობდა.

მიღებულია ყველა საქირა ზომები ლევარსის სანახავად.

ზმუკი.

— ჯერ ვითამაშებ „ბაყბაყ მღვემ“, მერე „ქეთო და კოტი“-ში, მერე ვინ არის დანაშავე“-ში, მერე „დეზერტერა“-ში, მერე...

— მოიცა, შე კაცო, შენ ძალიან ურეე, შენ რომ ჩამოთვალე მანდ მხოლოდ ორიოდ ოპერა ურეე, დანარჩენი პრესებია.

— სულერთია, მაშინ დრამაში ვითამაშებ: „ჰამლეტი“-ს როლს სულ მდღეობს გავადენ და „ოტელო“-ს კუდილთ ქვას ვასროლინებ.

— მაინც პირველად რომელ ოპერაში გამოდინარ?

— აი ის რომ არის, ახალი დაწერილი ოპერა „ბაყბაყ მღვემ“.

— ვისია ეს ოპერა?

— ვისია და ჩვენი კოტესი. მას არ უნდოდა დაედგა, მაგრამ მე ვიპოვე. მას უნდოდა მე-21 საუკუნეში დაედგა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ მაშინ ჩვენი ძველი რეცენზენტი პეტია ამ ქვეყანას აღარ იქნება და რეცენზიას ველორავინ დაიწერს-თქო.

— როლის სახელი არ მახსოვს, ისე კი ვიცო:

— მერე რა როლის ასრულებ თუ ძმა ხარ?

— აბა იმერე, შენ გენაცვალე.

— თუ გაქვს პრეისტავდენიაში კიტრი, თევზი, მწვინილი, ზედაც კარგი ნიორი,

და თან კარგი ხაშები, ხაშები და ვახშები...

— მაშ მავ ოპერაზე აუცილებლად მოვალ.

— მოსვლით კი მოხვალ, ჩემო კარგო, მაგრამ შეეველარ შემოხვალ.

— რატომ, შე კაცო, რა დამიშლის? რაშია საქმე?

— რაშია და იმაში, ჩემო ვარგისო, რომ ბილეთები უკვე გაიყვანა. თუ გაყავს ნაცნობი, ან გაზედ, ან აღმინისტრატორი, ან ბუკლალტერი, ან შემანქანე, ან მოლარე, ან კიდევ სხვა ვინმე ასეთი, მაშინ შეიძლება იშოვო, ისე კი ვერა.

— კარგი და მანდ თუ ვერ ეუყურებ, მუშათა რაიონებში ეუყურებ, იქ ხომ დადგამენ?

— ჰო, მართლა, იქ დადგამენ აუცილებლად. თუ წეოს არა, გაისად მაინც დადგამენ,—და თუ გაისად არა, რამოდენიმე წლის შემდეგ მაინც დადგამენ. შენც რაღა განჩარბს, ხომ გაგეგონა: „ანჩარბითა სოფელი არავის „მოუჭამია“-ო, თუ კი მოუშვებს შეუძლიათ მოითმინოს მთელი სეზონის განმავლობაში ერთი ოპერაც არ მოუსმენიათ თავიანთ უბანში. შენ რაღა კვაპი კვაპანტირაქე ხარ, —ველარ მოითმენ?

— მაშ უცადოთ მოუშათა უბანში?

— უცადე, უცადე, ჩემო ვარგისო, და იქნებ იქაც ჩამოაღწიოს ოპერამ: სათანადო დადგენილება უკვე მიღებულია შესაფერის ორგანოებში და სათანადო აქტივ დადგენილია; საქირა მხოლოდ მისი ცხოვრებაში გატარება, რასაც, ალბათ ბევრი ჩვენგანი მოესწრება.

აღლარ-აღლარხანია.

„ოჯახი“

ერთხელ მხოლოდ ისიც ცხადია რედაქტორთა ვნახე კრება: ცალ-ცალკე და ყველა ერთად,— სიტყვებზე და ნეტარება.

ტახტზე იჯდა იოსები, მარჯვნივ უჯდა შვილი შალვა (მარცხნივ მჯდომი შვილი გაიოხსაც არ სჭირვალა დღეს აქ შალვა).

როს სიწყნარე ჩამოვარდა აღარ ქროდა ნიავ-ქარი, დარბაისლად ახმაურდა თავმჯდომარის პაწა ზარი:

— ბატონებო! და შიმარათა „ბატონებით თავის ნუყრებს! ან ხხვა მამა რედაქტორებს დღეს თავს აძღენს ხალ შეუყრებს.

— ხომ ხელადეთ, რომ: დაგვცინიან დღეს სომხები ჩვენ ქართველებს?! ახალს ახლად არ იჩინვენ, სამარადიან სთხრიან ძველებს?

აბა, რაა აზიანის ოხუნჯური დეზერტირკა? ო, აშკარა დაცინვაა ქართველებზე, გწამდეთ, იქა:

— ჯერ ერთი, რომ გვარდიელებს ზარბაზანი სად ეკიდათ?! (ან ზარბაზნებს მათ მისცემდენ რომ დუქნებში დაეყიდათ?)

ხანჯლის ნაცვლად ჩვენს თავადებს (ო, სირცხვილო, სიმწროით—ვმრები!) უკავიათ გასაყიდათ ბუმბულ დაცილილ ბალიშები!

თავადი და ბალიშები, ბალიშები და თავადი! სირცხვილია ეს ზღაპარი იმ თავიდან ამ თავამდი.

შემდეგ ქართველ მენშევიკებს სამინისტრო პორტფელებით, ვის ხსოვნასაც, ბატონებო, ჩვენ აქამდე თავს ვეცლებით,—

თურმე ქრთამი აულიათ... (აზიანი ასე „ბოდავს!“) ო, სირცხვილო, მადას შენსას ვინ არის რომ დღეს შებორკავს!

შენშევიკი და ქრთამები ქრთამი მინისტრს, ქრთამი მდივანს?! აი, თურმე შოვინიზმი ზოგიერთებს სად წაიყვანს!

განა ნოე თვით არ იყო (დღი ნოე გახსოვთ თქვენა!) სუფრაზე, რომ ჩოხოსანმა სადღერძილოთ მოახსენა:

— სულ ორია დილო ნოე დღეს ჩვენში, რომ ქრთამს არ იღებს (და ამ ორის სურათებსაც ისტორია გადაიღებს!)

დღეს მთვანე—ერთი თქვენ ხართ, მეორე კი მე—გახლავარ და გარწმუნებთ, რომ მექრთამე დღეს არც ერთი ორში არ ვართ.

თქვენ მითომ რომ...ქრთამს არ იღებთ საამისოთ დავებ ნიძღვებს! ხოლო მე კი—ქრთამს ვერ ვიღებ რადგან... არეინ არა მაღლებს!

— ბატონებო, ისტორიამ იჩინაძვილით ეს აღნიშნა... აისი შემდეგ აზიანის ოხუნჯობა ან რას ნიშნავს!?

მორიელი.

რძის ფული

(პიეხა ერთ მოქმედებათ ქუთაისის რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

მოქმედენი პირნი:
 მაქსიმე რკინისგზელი.
 ზოსიმე უმუშევარი რკ. გზელი.
 ევგენი რკ. გზელი.
 ვალოდია „ „ „
 ანტონი „ „ „
 დარაჯი „ „ „
 ნუსკორი „ „ „
 მიკიტანი

სამიკიტნო. მარცხნივ და მარჯვნივ კარები. შუაში შუშაბანდი. სდვას სამი მაგიდა და რამოდენიმე სკამი. იქვე დახლი. ზედ საჭმელები. წყინილი და სხ. მიკიტანი არჩევს რედისკას. ფარდის ახდის რამოდენიმე ხნის შემდეგ შემოღის მაქსიმე.

მიკიტანი: (გასძახის სამზარეულოში მარცხნივ) რემალოჰ. აბა, საუზმე მალე გააკეთე; დღეს რალაც ფაცაფსუცია „სტრახ კასაში“.

რემალოჰ: (სამზარეულოდან) ხარჩო მზად არის; ყაურმა ერთი საათის შემდეგ იქნება.

ზამოსვლა პირველი

მაქსიმე: (შემოდის. აწვდის მიკიტანს ჩერვონეს) თუ ძმა ხარ, ამის ხურდა მომიცი.

მიკიტანი: (ატრიალებს ჩერვონესს) სად იყო ეს ჩერვონეცი ამ დილაზე? დღეს რძის ფულს ხომ არ არიგებს თქვენი კასა?

მაქსიმე: ეს არის ეხლა დაიწყეს.

მიკიტანი: აბა, ბარაქა დღევანდელ ვაჭრობას... ხომ არაფერა დალევ?

მაქსიმე: ჯერ ერთი ეს დაეხატურდაო და, რა თქმა უნდა, რომ დავეცე...

ზამოსვლა მეორე

ზოსიმე: (რომელიც გარედან თანჯარაში იჭვრიტებოდა, შემოვარდება და ართმევს ხელს მაქსიმეს) იმე! გამარჯობა მაქსიმე მალაქჩი! სად ხარ, კაცო: რაც მე შეხი ნახვა გამიჭირდა...

მაქსიმე: „სტრახ კასაში“ შეკონდა საქმე...

ზოსიმე: (სიტყვით მხრებზე ხელს დაჰკრავს) იმე, მართლა მომილოცინა; გიმრავლოს ღმერთმა; გვიცეცხბ შენ თავს. ძალიანი კი გამიხარდა, რომ გევიგე: მაქსიმეს ვაჟი შესძენიაო. ვოტ მალადეც, ყოჩაღ, ეი ბოლუ ყოჩაღ (ვითომ წყენით) მარა გლახა დროს კი შემხუდი (ჯიბიზე ხელს გაიჩრავს) ეს ოხერი რალა ახლა დამრჩა სახლში.

მაქსიმე: (მხრებზე ხელს დაჰკრავს) მალარიჩი მე მეკუთენის... მოდი დავეცე: (ჯღღბინა).

ზოსიმე: (განგებ ნახოზს) არა, არ მომიკვდე... შენ ფულს როგორ დაეხარჯევიტ. (მიკიტანს განგებ) ხაზინი, მენდლე ერთი ბოთლი ლეინო სლაპომდე.

მიკიტანი: რა დროს ნდობაა, დღეს რძის ფულს არიგებენ და ვაჭრობა ნაღლებია.

მაქსიმე: (მიკიტანს) აბა, ლეინო და ორი კერძი (მიკიტანი აწყობს მაგიდას).


ზოსიმე: ძალიან გამიხარდა, შენ ნუ მომიკვლები. ვაჟი რომ შეგეძინა, ზოსიმე (იღებს ჰიქას) გაემარჯოს (სვამენ).

ზამოსვლა მესამე

(ანტონი და ვალოდია შეზარხოშებული)

მაქსიმე: (გახარებული) ვინც მოვიდა გაუმარჯოს!

გამოცნა ქუთაისისათ



ცირკია თუ თეატრი?

ზოსიმე: არ მოულოცავთ მაქსიმ მალაქიჩის ბიჭის შეძენას?!

ანტონი: ის ბიჭი კი დაოუჯღინეთ ოთუზბორი.

ვალოლია: კიდო უღღერძელოთ, რას ვაგებთ!

მაქსიმე: (იცილის) თქვენი ქოქი დაიქცეს. მოიტა სკა-

მი ახლოს (უჯღღებანი სუფრას).

ვალოლია: გაგიმარჯოს... იციოცხლეთ (სევამ).

ანტონი: გაუმარჯოს თქვენს დახვედრას (სევამ).

მაქსიმე: (მიკიტანს) სამი ბოთლი ღვინო, და მოარ-

თვი რაც ენებოთ (მიკიტანს მოაქვს).

ზოსიმე: (იღებს ქიქას) ყოვლად ძლიერმა ძალამ

ინებოს შენი ვაყის ზედნიერება და მოგასწროს მისი შეი-

ლის-შვილი.

მაქსიმე: (ართმევს ქიქას) შერ არ მომიკვდ, ჩემი კუ-

ბო ნახო! ყანწით ბატონო, ყანწით (მიკიტანს) მომიტანე

ყანწი.

ზოსიმე: (განგებ) ეს კი ნამეტანი მოვცივა მაქსიმე

(მოაქვს ყანწი და ასხამს) მაშ ასე, გაუმარჯოს იმ პატარა

ბიჭს.

ყველა: გაუმარჯოს, გაუმარჯოს! (სევამენ).

მაქსიმე: (ყანწით) ამხანაგებო ამისრულდა ნატერა:

შემეძინა ვაჟი... ერთი თვეა ქუალე არ ვარ სინარულით.

გაუმარჯოს ჩემს პატარა პიონერს (სევამ).

ზოსიმე: კომსომოლს, ბატონო, კომსომოლს!

გამოსვლა მერძენა

(იგინივე და ვანო).

ვანო: (სუფრასზე) გამარჯვება, ამხანაგებო!

ყველა: გაგიმარჯოს, ვანო... მოდი, და დაველოცე.

ანტონი: (აწყდის ყანწს) აბა, გვადღეგრძელებ.

ვანო: (ართმევს) ოპო! ყანწით დაიწყეთ? ვაშა, ვაშა.

გაგიმარჯოს, იციოცხლეთ (სევამ). შემდეგ მაქსიმეს გადაუ-

სურს (სევამ), მოლარემ სდაჩი გამომიგზავნეთ.

მაქსიმე: უთხარო: დაეზურდავებ და მოვიტან-თქო

(ფიქრობს) იცი რა უთხარო: არ მინახავს-თქო (ვანო გა-

დის).

ზოსიმე: (საქმალდ მთვრალი უბნება მაქსიმეს) გაგ-

ხაროს, ღმერთმა, მე შენ გამახვარე.

მაქსიმე: ბებია ქალმა მოთხრა:—საქმე პირველი იყო,

აწი ჯამაგირზე მეტს რძის ფულს აიღებო.

ზოსიმე: ამ ყანწით ვადლოგრძელებ იმ დედას, რომელ-

მაც დედამ შეილი შობა.

მაქსიმე: (მიკიტანს) აბა, კიდევ სამი ბოთლი ღვინო

(იღებს ყანწს) ამხანაგებო, მადლობას გწირავთ... ერთი

ამოავალი ჟამიერ“ (მლორთან).

ზოსიმე: (აწყდის ყანწს ვანოს) დალიე და უღღერძე-

ლე პიონერი.

გამოსვლა მხსუთი

შემოდანი სხვები

ზოსიმე: ოოო, მობრძანდით, დაბრძანდით... საღ იყა-

ვით ამდენ ხანს!

მაქსიმე: ამხანაგებო, ამ ყანწით ვადღეგრძელოთ ის

ამხანაგი, რომელმაც პირველმა წარმოსთქვა სიტყვა დამ-

ზღვევ სალოროზე და მისთან გაუმარჯოს დამზღვევ სა-

ლოროს უკუნიით უკუნიამდე მისი არსებობა.

ყველა: ვაშა, ვაშა (სევამ).

მაქსიმე: (მიკიტანს) მომიტანე სამი ბოთლი, ხოლო

ეს (კარიელები ქვეშ დააწყვე, თორემ შემოვა ვილაქ ქვეა

შეიტანჯალებული მუშკორი და გაზეთში გაეკვიმავს (მი-

კიტანიც ასე იქცევა).

ზოსიმე: რაზე უნდა გაეკვიროს?! მისას ეკამთ თუ?

ანტონი: კანენო! ვის რა ესაქმება.

ზოსიმე: ამ ყანწით ვადლოგრძელებ ჩვენს მაქსიმეს,

რომელიც არის ჩვენი პირის ძმა.

ყველა: გაუმარჯოს, გაუმარჯოს (სევამენ)

ზოსიმე: ერთი „მრავალ ჟამიერ“, ამხანაგებო (მღე-

რიან: ზოსიმე გადის სამწარეულოს კარებში).

გამოსვლა მემძნე

შემოდის ევენი, რომელიც გადაკრულია.

მაქსიმე: ვინც მოვიდა გაუმარჯოს.

ევენი: კამანის გაუმარჯოს (მიკიტანს) ორი ბოთ-

ლი ღვინო.

ყველა: ჩვენთან, ჩვენთან (სუფრასთან მიკიტანს სევამ).

მიკიტანს მოაქვს ღვინო).

ზოსიმე: (ეხვევა ევენის) ამას ვის ეხვება? (კოცნის)

შენც რძის ფულს აიღო გეტყობა!

ევენი: დაბ, მაგრამ ამას წინედ რძის ფულს ჯამა-

გირიც დაემატე და ქალმა ას თუთხმეტი სახარება წამი-

კითხა.

ზოსიმე: ჩვენ ვიკითხოთ უმუშეგრებმა, თუ არა

თქვენ რა გიჭირთ. კაცებს ჯამაგირი, ცოლებს პენსია,

ბავშვებს რძის ფული, ავადმყოფებს სახატორია, დასა-

სვენებელი სახლი, მკედრებს სამარხი. ყველაფერი მთაფ-

რობის ხარჯზე; რა გინდავლებათ (იციონან).

ანტონი: ნუ გეშინია; შენც მალე გაგდიმებს ბედი.

ზოსიმე: გაზე რამე?

ანტონი: ნუ გეშინია; სამსახურს იშოვო: დაეალებ

აქვს ყველა საუბრო კომატეებს, რომ გახსნას ყველაზე

კუბოთა სახელოსნო კი ჩვეთის წვერებისათვის. აძლე-

ვენ უღასოთ, ვისაც შევდი და ნაკლები კატეგორია აქვთ.

ზოსიმე: (დგება ბარბაცით) ამ ყანწით ვადლოგრძე-

ლოთ იმ მწრომელ ძალას. (თავს ძალას ატანს) რომელიც

მწრომელი ძალა მწრომებს და იმ ნაწრომით ძღება უღირ

სნი და უძღებნი, უსურვებ იმ ძალას, ძალის მომატებს

და ეს ძალა (აერევა) საერთო ძალა გამხდარიყოს... (შე-

ჩერდება) გამხდარიყოს უშველებელი ძალა, რომელიც

გახდება უშველებელი უშველებელი ძალად (შეჩერდება).

ანტონი: ვაშა, ვაშა!

ზოსიმე: ნუ მიშლით (იწყებს...) ამხანაგებო, მე მინდა

ფართით აგისნა, თუ რა ძალა არის მწრომელი ძალა და

რა არის საერთო ძალა, ამისათვის მე უნდა შევეხო უფ-

რო ფართით ამ...

ანტონი: (აწყვეტანს) კარგი იქნება, თუ მოკლედ

გაგვანობ (ყველა იციონს).

ზოსიმე: (ბმა მალე) ამხანაგებო, შეჩერდით... მე

ორივე შემოძლია: მოკლედ და გრალადაც; რას იტყვის

უმრავლესობა.

ყველა: თანახმა ვართ ანტონის რეზოლუციის.

ზოსიმე: (გამარჯვებულ ანტონს) მანაც ვაშკარა

ტბილი?

ანტონი: ტბილი არაფერ შუაშია. მე ვამბობ: კარგი

იყო და ნულორ დამახინჯებ-მეთქი!

მაქსიმე: ასწი და ვადლომლოცე ყანწი ზოსიმე ელფ-

თეროვიჩი! (ყველა სევამ) ზოსიმე აღება და ბარბაცით

მიდის სამწარეულოსაკენ.



ზოხიმი: იმ ყანწით ცაღდერგაძელებ იმ ღდას, რომელმაც ღდაამ შეიღო შობა.

ვანო: (მაქსიმეს ყურში) მოლარემ „ზღაჩიო“.
 მაქსიმე: ხომ არ გითქვამს, რომ აქ ვარ?
 ვანო: არა!
 მაქსიმე: აბა, რას ჩამაცვიდი კაცო!
 ვანო: იგი მაგზავნის.
 მაქსიმე: მერე და ვერ უხანარი,—ვერ ენახე-თქო?!
 ვანო: უხანარი, მიაი ასე შითხრა: „არცინი მეო“;
 ჩქარა გამოგზავნის ხურდაო...

მაქსიმე: (გარკვევით) მერე ვერ უხანახე: ვერ გნახე-თქვა და ვის უხანრა-თქვა?... ხომ ზედაც სირცხვილში ვარ... მგონი არც კი მეყოს ფული; აქ დავერია არ მაქვს. მე თვითონ მოუტან.

გამოსვლა მემკვსე

იგივენი და მუშკარი.
 მუშკარი: (მიკიტანს) ერთი სადილი და ერთი ჭიჭა ღვინო მომიტანეთ.
 მაქსიმე: ამხანაგებო, ჩვენი ღღეანდელი მხიარულუბის მიზეზია რძის ფული და ამ...

მაქსიმე: (აწყვეტინებს) ჩემად, ზოსიმე ელფეთეროვი... ჩემად იყავი (ოთახისაკენ უთითებს) თორემ ხომ ზედაც მუშკარი და გაზეთში გამოგქვიმავს.

ვეგენი: მართლა მაგასთან ვერ ვარ პირნათლად. სამი თვის გაზეთის ფული მაქვს გადაუხდელი. ვერ გოუქმელო, ყმაწვილო, ამდენ გადასახადს; მიკიტანებში მთლად წაიღო ჩემი ჯამაგირების დოვლიათი. მეარტელესთან ჯამაგირის დროს როგორ გვერდზე მიღვას მიკიტანები. მოდი და გასწვიო ვეღვადგის, ალარ გადამორჩა გაზეთისათვის.
 ანტონი: წავიდეთ, თორემ მუშკარებს მასალას მივცემთ; მერე წერილს ასეთ სითათურს დააწერენ: „რძის ფულია თუ ღვინო“-სი.

ზოსიმე: რაეა, მისას ესევა თუ?
 ვეგენი: (ღებება) წავიდეთ! აქ აღარ ღირს დაბრუნება (ღებებთან).

ზოსიმე: (კარიღელ ბოთლებს წაიღებდა) ამხანაგებო, ჩვენ სუფრის ქვეშ ბოთლებს კონთორენცია მოუწვევიათ.
გამოსვლა მემკვსე

მიკიტანი: რას ინებებთ, ამხანაგებო?!
 მაქსიმე: რამდენია ნამარცხი?
 ანტონი: (განგებ) შენ არ მომიკვდე არ მიგაცემინო! ზერ ბატონო, აგერ.

ზოსიმე: დოუჯერე მაქსიმე, დოუჯერე, მერე შენ დახარჯე, აცალე ახლა ანტონს.

მაქსიმე: მჭირთ თავს? ჩემი კუბო ნახეთ!
 ვეგენი: (განგებ ჯიბეში ხელს იყოფს) დაგენდურები,

შენ ნუ მომიკვდები, აგერ ბატონო, აგერ ბატონო, მე შეცემ.

ვალდია: აცალე მაქსიმე ვეგენისკ ეს მისცემს.
 მაქსიმე: აბა, მე მკვდარი ვყოფილვარ, ეს ჩემი სიკვდილი იქნება.

ანტონი: სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს (ვალდიას, რომელიც ამ დროს პაპიროსს იღებს მისაწყვად) ვალოდა, ჩვენი პაპიროსი შინაც მოვაწვევით მაქსიმე მალაქის (აწვედის პაპიროსს).

მაქსიმე: ამხანაგებო, ფული წინ და წინ მიცემული მაქვს, ასე რომ თქვენი თავის შეწუხება ზედმეტია.

მიკიტანი: 17 ბოთლი, 6 კერძი, 6 პურია, სულ 13 მანეთი.

მაქსიმე: (განცვივრებით) ცამეტ მანეთი რისა? მიკიტანი: რისა და რაც მოითხოვე!

ზოსიმე: (ვალდიას ჩუმად) შეგონია „ჩორნი ხოლდან“ სჯობს გასვლა, რომ სიმთვრალე არ შეგცამნინონ (ვალდის და კარებიდან ვალდიას) მხანაგე ერთ „მინუჩი“, ვალდია.

მაქსიმე: (მიკიტანს) კაცო, რომ ამხანაგებო 17 ბოთლი, ვინ დალია ამდენი?!

მიკიტანი: (ხმა მალაქა ყვირის; თან აწყობს ცარიელ ბოთლებს სუფრის ქვეშ) აბა ეს მე დავლიე?! აბა ესენი მე მოვითხოვე?!

მაქსიმე: ნუ ყვირი! იანგარიშე სინდის ქვეშ.
 ვეგენი: სინდისი მაგენს არც ქვეშ აქვთ და არც ზევით. მიკიტანი: ცდებით, ამხანაგებო.

ვეგენი: შენი ამხანაგი ჩალანდარია.
 ანტონი: (იქით) ეტყობა აქ დაკა-დაკა გაიმართება, სჯობს უშველო თავს (იპარება სამზარეულოდან).

მიკიტანი: რაშია საქმე, საჩხუბრად მოხვედით?
 ვეგენი: (მეღვრად) თუ გინდა ესეც იყოს (უკან მოიხედავს, მაგრამ ანტონს და ვალდიას რომ ევლარ დანახავს, ღებება) იანგარიშე ნახარჯი, ფული მიიღე და გავევი.

(იქით) შენი იღბალი რომ უხერხული აღგლითა, თორემ... (ვეგენი ვალდის, მაქსიმე ამხანაგებობს ჩოტკით).

გამოსვლა მემკვსე

შემოვა ვანო.
 ვანო: (მაქსიმეს) რა ქენი? მოლარემ ზღაჩის ხურდაო.

მაქსიმე: ევერ არის ზღაჩიც და ხურდაც (უთითებს სუფრისაკენ).

ვანო: (მაქსიმეს) რა ქენით? მოლარემ ზღაჩის ხურდაო. გაუმარჯოს პიონერებს (ხითხითებს და სევამს) დღესა



მიკიტანი: არ მომცემ და ისე ვაგახდი ცხვირს, რომ ერთს თვეს ექიმის საბატრონო ვახდ.

თავს ლაფი ჩემ ფედოსიას: მე იმან შემბებერდა უშვილოთ (გადაკრავს) ვი, იმან ამოუვარდა ჯილავი, იგი უჯილა-გო და უჯილა გამოდგი, იმისაგან ვერც რძის ფულს ვლბებულობ და ვერც წყლისას.

მაქსიმე: (რომელიც ანგარიშობს) ჩემგან გერგება 6 მან. და სხვა ვინც მოითხოვა, იმან მოგცეს.

მიკიტანი: არ მომეცემ და ისე გავიხდი ცხვირს, რომ ერთ თვეს ექიმობის საპატრონო ვასდე.

მაქსიმე: რაო, რაო? (გაარტყამს სილას, მიკიტანი ჩაიკმეტება, დახლში ფართხვით. კენტს გამოაძრობს და უთავაზებს მაქსიმეს, რომელიც ჩაიკვებება, ვანოს უნდა უშველოს. მაგრამ წაედება მაქსიმეს და ისიც დაეცემა).

გაგონოსვლა მძრამე

მუშკორი: (შემორბის) რას ჩაიხიბარ, კაცო? (აყენებს მაქსიმეს).

მიკიტანი: ქამა, გაძღა, ქვეყანა დაპატიყა და ფულს აღარ იძლევა.

მუშკორი: მერე მაგისათვის კლავ კაცს? მიკიტანი: მაგ ხომ კაცი არ არის.

მაქსიმე: გამიშვით, ერთი შემავლებიეთ ხელთ (მუშკორი არ უშეშებს).

მუშკორი: (ვანოს) შენ რაღა გინდა იქ? ვანო: რძის ფული აილო და ზღაძი არ დაუბრუნებია (უწმენდს სახეს მაქსიმეს).

მუშკორი: (სახალხით) აი, ხედავთ ზოგერთი ჩენნი კავშირის წვერი როგორ სარგებლობს ასეთი დესმარებით?! თუ დღეს თავიერის მორჩენისათვის გააცდენს. აი, ესეც შენი რძის ფული.

კოხტაიდი.



რა განსხვავებაა?

აბა ვინ იცის: — რა განსხვავებაა კვერცხსა და სანატორიუმის გამგის შორის?

იქნებ ვერ მიხვდეთ?

გმტყვიეთ:

— სანატორიუმის გამგეს შეუძლია კვერცხი შესქამოს, ხოლო კვერცხს შეუძლია თავი შეაქამოს სანატორიუმის გამგეს.

ეს ყველგან ასეთა და „ქაჯის“ სიტყვით სურამშიაც ასე ყოფილა:

„სურამის რკ.-გზის სანატორიუმის ახლად დანიშნულ გამგეს ორი თვის განმავლობაში დააკლდა 250 კვერცხი. ეს იმ დროს, როდესაც განაღდი მისა და მის კულს არ ვასკოლებია“.

ორ თვეში 60 დღეა. თუ სამოც დღეში 250 კვერცხი დააკლდა, დღეში დაკლებია $250:60=4\frac{1}{6}$ კვერცხი. იმ ნორმის მიხედვით, რომელიც ავადმყოფებს გამოწერილი აქვთ, — დღეში გამგეს უნდა რგებოდა 13 კვერცხი. ოთხი კი ცამეტის მესამედი ძლივსაა, ორი მესამედი საღდა იშოვოს? და ასეთ პირობებში რკინის-გზის ჯანმრთელობის განყოფილებას სურს ისეთი მიმე ავადმყოფი, როგორიც სურამის სანატორიუმის გამგე ყოფილა, ასეთი მცირე „პაიოკით“ განკურნოს? ეს დაუშვებელია, ან უნდა გაუდილოთ „პაიოკი“ და ან... აღდგინო მინც გამოუტყვალთ!

ალფოთიგზულია

მუშკორი „ცეცხლფარი“ ზედმიწევნით აღშფოთებულია და საბუთიანათაც:

„სახელმწიფო კინო-მრეწველობის ქარხნის კარგზე არის წარწერა: „**დაუპირისპაპო ნუ მშობსხალო!**“ ამ კარებთან არავინ ხდვას. მიხვდულმა არ იცის: ვის მიმართოს საქმის გამოსარკვევად და საათობით უხდებდა დერეფანში დგომა.

რაშია საქმე? — საქმე იმაშია, რომ რაკი კარებთან არავინაა, ხოლო დაუკითხავთ შესვლა აკრძალულია, უნდა ციგულისხმით, რომ კითხვა და ლაპარაკი ამისაქმინა“ ხალხთან მხოლოდ ტელეფონითაა შესაძლებელი.

არ გაქვთ ტელეფონი? — მაშინ ქუჩაში გამოდით და ხმამაღლა იყვირეთ: თუ კინო-მრეწველობის სახელობის „საქმის“ არა, იქნებ სხვან მინც გაიგონონ ყვირილი და მოხსნან უაზრო წარწერა.

„ნიჩეგო ნი ზნაჩიტ“

— ვინც არ იცის—ცერცვათ, ვინც იცის—ცეცხლიათ!

მზარეულს მინც ეცოდინება თუ რა ცეცხლია 14—16 საათი სამზარეულოში ყოფნა, მაგრამ სხვებმა ეს არ იციან და „შია ვახოს“ სიტყვით, ალბათ ამიტომ ხდება, რომ:

„თბილისის სამხედრო სამკურნალოს სამზარეულოში მოხამსახურე 5 მზარეულს, რომლებიც ყველანი კავშირის წევრებია, ყოველდღე 14—16 საათი უხდებოთ მუშაობა. კვირა-უქვე დღეები მათთვის არ არსებობს. არც ზედმეტი მუშაობისათვის ეძლევათ ზედმეტი არც ერთი გროში“

აღვიკოვს მიმართეს, მაგრამ უყრადღებხ არავინ აქცევს; საწვერო გადასახდს კი იხლიან“...

საწვერო ვადასახდს ხომ იხლიან? — აბა კავშირის წევრის მეტი რა ეველებად: — მან საწვერო უნდა იხლოს, ადგილკომმა—სკვა-

მოს!

რა ადგილკომის საქმეა მუშების და ისიც 5 მუშის ინტერესებზე ზრუნვა. 5 კაცმა, რომ დღეში 6—8 საათი ზედმეტი იმუშაოს—ამით ქვეყანა დიქიკავა თუ?

ხომ გაგიგონიათ ერთი დედაკაცის ტრაბახი: — ცხრა შვილში, რომ ერთშიც დამაკლდეს, ნიჩეგო ნე ზნაჩიტ!

რაზე უნდა შიქოფუხოს ადგილკომმა თავი 5 მუშაზე, როცა საწვერო ანარიცხებს იგი ათჯერ ხუთი მუშისაგან იღებს?

მასაც თამამიო შოქოძია სთქვას: — 50 კაციდან, რომ ხუთი სულაც წელში გაწყდეს—

ნიჩეგო ნე ზნაჩიტ!



საუბროვო „ბალანსი“

- ბევრი, მეზობელს ყველა ხუთი ქათამი. სამი მოჭარეს.—რამდენი დარჩებოდა?
- ვისა მასწავლებელი?
- მეზობელი!
- პო. მე ჩვენი მეგობრა, აბა რა მენაღვლება!

არც დიდი-ჯიხაიშის კოოპერატივის ენაღვლებოდა თუ მის მონაწილე ლანი-ქაგანს ვალად დაედვა ხუთი ათასი. მეზობელია. აიტანს და ეს გარემოება სულაც ხელს არ უშლის, რომ ჯიხაიშის კოოპერატივმა მოგება აჩვენოს 2000 მანეთი.

ამ საქაიხს ასე ხსნის მუშკორი „ჭველი“.

„რევიზია, გამგობამ წარმოვიდგინე ბალანსი, მოგვებ კარგი ვეჩვენებ—ორი ათასი მანეთი.“

ხუთი ათასი მანეთის შექმლება „პროტეხში“, ათას ხუთასი მანეთი გაბანდულა ნიხივში.

გაბის წვერი ჩვენი კობა. დიდი რიხით არწმუნება, რომ ვალები ლანი-ქაგანს ჯიხაიშს არ გადახდება“.

ბალანსი მართლაც სანიძეულოა: — მოგება ჯიხაიშის კოოპერატივის—ორი ათასი, ვალი—ლანი-ქაგანს—ხუთი ათასი. ნისია „ვილაცის“—ათას ხუთასი. გამგობას რაღა ერგო? ტარტაროზისაგან—ჩანგალი, ხოლო ამრეველებისაგან—რკინის ცოცხი, რომლითაც ერთის მეტი ყველა გაუხვეტათ.

ან ის ერთი რათ დატოვებს? ალბათ მძევლათ, რომ ობობები არ გადააჯიხიბულიყვენ ჯიხაიშის კოოპერატივში!

ხაჭაპური სად წავილა?

თუ მიქნარებაა წამბამველი, მგლანველობა რატო არ უნდა იყოს?

და არის კიდევ. აი, მაგალითად: ოზურგეთის მაზრის სოფელ ხევში მოუწყვიათ საქველმოქმედო სიღამო, ხაჭაპურის „აუქციონიც“ მოუწყვიათ, მაგრამ „კვირხლას“ სიტყვით:



„შავში შენახული ხაჭაპური ვილაცამ გააცოცა“!

ქველმოქმედებაც სწორედ ეს არის:—საწყალი ხაჭაპური, უბატონოთ მიტოვებული ხაჭაპური, შავში გამოწყვდილი ხაჭაპური—კიდევ კარგი, რომ მის მძიმე მდგომარეობაში შესულა ვილაც ქველმოქმედი და ტყვეობიდან გაუნთავისუფლებია.

ღირია თავგანწირვა და გმირობა ვეიკაცის, რომელმაც ეს ჩაიდინა; ამისთანა რაინდებს მხოლოდ ხევში თუ შეხვდებით და ისიც ჩვენს დროში, თორემ საშუალო საუკუნეში რომელმაც რაინდმა იცოდა თუ ხაჭაპური რა ცხოველია!

თუ იცნობთ?

სოფ. ჩანჩეთს ვინ იცნობს? რითია იგი განთქმული? ნუ თუ არ იცით? აბა მუშკორ „კონსოლის“ დაუგლით ყური:

„სამკითხველს გამგება აქ ტელუში შარია, სამკითხველოში ნახავთ თუ რომ კაი დარია“...

იქნება არც „ალადიმერას ჯორს“ იცნობთ? აბა გაიცანით:

„წარმოდგინა ხშირად დგამენ, პორფილეა „რევიზორი“; ხაქმეს ისე გაუძღვება, როგორც „ლადიმერას ჯორი“!

ახლა ხომ გაიცანით ჩანჩეთი:—ამ კურთხეულ სოფელში არც ჯორს ცოდნია ოჩნობა და არც რევისორს, ხოლო თუ სამკითხველს გამგე მხოლოდ კაი დარაზი გამოიღის გარე, ალბათ ამ საწყალს ფილტვები აქვს დაზიანებული, ჩანჩეთში ჰაეა სწყენს და საჭიროა ჰაერი გამოუცვალონ!

არც ამას აუწყვენს

მუშკორ „ეგი“—ს სიტყვით: „18 მარტს სად, წნორის წყალში დაიწვეს შატ. 26 68 დაგვა. ამან გამოიწვია მატარების დაგვიანება ოცე წუთით. სად იყო მანამდე გამყოლი“


ჩვენი აზრით მატარებელი ერთის წუთითაც აღარ დაიგვიანებს თუ სამმართველო არ დააგვიანებს და ასეთ გამყოლს დროზე გაგვის ვაგონიდან.

გათმითცნობიერებულნი ქათმები

უწინ იტყოდენ: — თუ თავლი იქნა, ფუტკარი ახალციხიდან მოვია!

ახლა ამბობენ: — თუ სამკითხველო ლიაა, ქათამიც გაზეთს წაიკითხავსო!

ჩვენ არ ვიცით რაოდენი წარმატებით მიმდინარეობს ქათმების გათვითცნობიერება და ამ მხრივ რა მიღწევებია ქუთ. მაზრის ზედა-ნიმონეთის სამკითხველოში, მაგრამ საქმე, რომ არც ძალიან ცუდათაა, ამას „ლუწუყენბის“ წერილიც ამტკიცებს.



„სამკითხველს გამგეთ ყავს ჰანო ბუბამ, რომლის მუშაობა იმდენათ ნაკოფიერია, რომ სამკითხველოში ქათმებიც კი მიიზიდა და მათი წრეც დარია, რომლის მახუბისმგებელი მდგანია ამტანის მამალა.“

ალხანიშნავია, რომ სამკითხველოში სხსუფუავეც ზედმოქვენათაა დაცული და დღემდე შესამჩნევადა შენახული შარხანდელი ტალახის ნიშნები.

ქათმების ხშირ ტელურობას ჩამტრეველი ფანჯრებიც ხალხ უწყობს“.

ჩვენ ვფიქრობთ; შეუძლებელი იქნებოდა ქათმების ასეთი გათვითცნობიერება, რომ სამკითხველოს საქმე ნიკიერ ინდაურს არ ჰქონდეს ჩაბარებული.



ამა, უკვე დრო არის ვა. „მუშა“-ს ვაშაწერისა და ესენიც ჩამდგარან რიგში. კიდევ კარგი, რომ მიმაჯანს, თორემ იქნებ დამეგვანებნა ვაწუთის ვაშაწერა.



ცნობათა მეფა

ნახუტყურელს (ფოთი) თქვენმა ვაშაწერამ უკანასკნელად ერთხელ კიდევ ასხნა თქვენი სახელი, დაგემშვიდობა. გისურვებ უკეთესი წერა და გაემშვიდობა „გოდორსა შინა“.

თაღლითს (სამტრედია) თქვენ გვწერთ, რომ: სამტრედიაში უსაქმო ხალხია... ხეინოზს სადღურში... რომ შევკითხო: რა გინდათ უკიდურესი აქაო... გაბახუბებენ: სადღურს არ ათბობს სადღურის ფურისი და ჩვენ ვათბობთ სუნთქვითო.

ეს მართალია, მაგრამ თქვენ უსაქმო უნდა იყოთ, თორემ რომელი საქმიანი კაცი იწერებოდა ასეთ ამბებს, როგორც თქვენ იწერებთ?!

ცანცარას (ქიათურა) ხომ გაგიგონიათ: „გრძელი ჩიხს შიკლეთ იცმის, შაირია ახალუხი“.

ბზიკს (თერჯოლა) ჯერ ერთი: წაიკითხეთ თქვენს ზემოთ ჩვენს პასუხი ცანცარას; შემდეგ კი თქვენს მონაწერი ეს სტრიქონები:

ბედმა უმუხეთათ და კოვში ჩაუფარდათ მათ ნაცარში.

ალბად თქვენც მათსავეთ გიმუხტლათ ზედმა და თქვენი წერილი ჩავარდა (ნაცარში ვი არა) ჩვენს უფსკერი გოდორში.

სახროხანს (დებახუ) თქვენ გვწერთ ბებია ქალის ძლიერს შიხაბი, რომ:

როცა არჩენებზე იგი არავინ დახახხდა, მან თვითონ დაახხდა თავისი თავი და მოჰყვა თავის ქებას.

ხომ გაგიგონიათ თავის ქება კიტრად კიტრი კაბიკადო, თუმიკალა ეხლა კიტრი ათი შაურცი ღირს, მაგრამ არც ათშაურციანი თავის ქებაა დიდი სახარბიულო... და მით უფრო თუ კი:

მანც ვაშაწებულ იქნა თეთრი ვლენე. საგილოველ ბზიკს (ქუთაისი). ტარტაროშმაც მუხრუპი მოუჭირა თქვენს წერილს და აღარ წავიდა. იქაურს (ასკანა) რატომ არ იკით, რომ ღვინო როგორც მოწაფეს, ისე მასწავლებლებსაც ათრობს?! ამის შემდეგ მანც გეკოლინებათ და ასეთ უბრალო ამბებს ნუ მოიწერთ.

იქაურს (ქიათურა) თქვენ ასე იწყებთ: ავიდე ხელში კალამი. დავიწყე დღეების წერაო. ძალიან (უკლი საქმე გიქნიათ: რალა ჩინი რაპარობა საქირო, თუ კი: მიჰაბრებთ მთვარაძეს კეტი მოაღო წელზედა, რადგანც მთვლილმა დააკონს უარი უყო წაღწევა.

ამაზე მეტი რა უნდა ეუყოთ ჩვენ?! ეყოფა ჯერჯერობით.

„კლარას“ (ოზურგეთი) ჩვენ თქვენს წერილს ვუყავით ის, რასაც გთხოვდით გვიყო მენისქვილისათვის. ყურნუშს რატომ გრძნობთ თავს ასე შეუოცხყოფილად? თქვენ, რადგან ვერ გამოგიჩინიათ „ახალგაზრდა ქალებში ქათინაორების უნარი“, გიწოდის: „ლობია“. ნუ გეწინიათ: მთვარაში ლობიოს დიდი მოწონება აქვს. (მათიისაც დადებთ მარხა).

არ მოდვას. (ოკობა) გმადლობთ გატრთხილებიანათვის: მართლაც ისე დიდი იყო თქვენი წერილი, რომ მისი უფსკერი გოდორში ვაღაზიდიე ძნელი იყო; ალკილიბ ლად რამეს მოეღობოდა, ეხლა კი, თქვენი გაჯრთხილების შიმიდოე, შარლოც არათორს არ შოიოდა. რაშაიბიბოელი ბრძანდებოდეთ, რომ წერილმა მშვიდობიანად იმგზავრა და ეხლა სრულ მოსვენებაშია. ნუ გეჭნებათ მისი ჯავრი.

ჩახუნდარიძეს (ნიგეზინი) მოგეწოდით მასალები. სოფოკლის. თქვენს წერილსაც აღმოაჩნდა ქლეპის ბაკილები და ამიტომაც იგი საბიძოდ ვარაჯვანენთ. (მახვილადის ქალთან კი არა, ჩვენს გოდორში).

თქვენ ნუ გგონიათ, რომ ჯერ კიდევ საგზაო
დროს გაზეთის გამოწერაა.

უკვე დროა იზრუნოთ გაზეთის გადმოწერაზე.

გაზ. "მუშა"-ზე,

რომელსაც ყოველ კვირას თან მოაქვთ
ჩვენი შურნალი

„ტარტაროზი“

ავრლისათვის ხელისმომწერა

უკვე დანიშნულ.

არ დაჩქაროთ აკრილში უგაზეთოდ.

ტანტორა: პლენხანოვის გამზირი № 117.

